<u>პროექტი</u>

# საქართველოს კანონი

## „საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** „საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №24, 10.05.2010, მუხ. 150) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

**1. მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის:**

**ა) „რ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„რ) ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ, რეგიონალურ და გლობალურ საფრთხეებთან დაკავშირებულ საკითხებზე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით თანამშრომლობს უცხო ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან;“;

**ბ) „რ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ს“ ქვეპუნქტი:**

„ს) მატერიალური ან/და ელექტრონული დოკუმენტის სახით ქმნის, აგზავნის, იღებს და ინახავს ნებისმიერ დოკუმენტს (მათ შორის საარქივო მასალას), აგრეთვე იყენებს პირად და ელექტრონულ ხელმოწერას/ელექტრონულ შტამპს და ელექტრონულ სანდო მომსახურებას.“.

**2. მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. სამსახურის მოსამსახურე არის პირი, რომელიც მსახურობს სამსახურის შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე და მინიჭებული აქვს სახელმწიფო სპეციალური ან სამხედრო წოდება, აგრეთვე სამსახურის შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე დანიშნული წოდების არმქონე პირი (სამოქალაქო პირი) და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.“

**3. მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის:**

**ა) „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$გ^1$“ ქვეპუნქტი:**

„$გ^1$) საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს საქართველოს დაზვერვის სამსახურის საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშს;“;

**ბ) „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ვ) სამსახურის მოსამსახურეებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ანიჭებს სამხედრო ან სახელმწიფო სპეციალურ წოდებებს პოლკოვნიკის წოდების ჩათვლით;“.

**4. მე-11 მუხლის:**

**ა) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $2^1$-$2^2$ პუნქტები:**

„$2^1$. სამსახურში მიღებული პირი ინიშნება გამოსაცდელი ვადით და ექვემდებარება სამსახურის უფროსის მიერ დამტკიცებული სპეციალური მომზადების კურსის გავლას. სპეციალური მომზადების კურსის გავლისგან გათავისუფლების ან/და მისი ხანგრძლივობის

შემცირების საკითხები შეიძლება განისაზღვროს სამსახურის უფროსის სამართლებრივი აქტით.

$2^2$. სამსახურის ოპერატიული და ანალიტიკური ფუნქციის განმახორციელებელ ქვედანაყოფებში სამმართველოს უფროსის და უფრო მაღალ თანამდებობაზე, აგრეთვე დაზვერვის ოფიცრის მეექვსე და უფრო მაღალი კატეგორიის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს, ხოლო საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში სამსახურმა შეიძლება მიავლინოს პირი, რომელსაც აქვს სამსახურის ოპერატიულ ან/და ანალიტიკურ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ ორწლიანი გამოცდილება.“

**5. მე-16 მუხლის:**

**ა) „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ე) დისციპლინური გადაცდომისას, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა, ან მძიმე დისციპლინური გადაცდომისას;

**ბ) „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„კ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე;“

**გ) „ო“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;**

**დ) „ს“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ს) სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან გარდაცვლილად გამოცხადების შემთხვევებში;“

**ე) „ტ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „უ“ ქვეპუნქტი:**

„უ) გამოსაცდელი ვადის განმავლობაში მოსამსახურის მიერ არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში;“

**6. მე-17 მუხლის:**

**ა) მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ვ) თანამდებობრივი სარგოს უფრო დაბალ კატეგორიაზე გადაყვანა – არა უმეტეს ერთი წლით;“

**ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„5. სამსახურის უფროსი უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამსახურის მოსამსახურის მიმართ გამოიყენოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ნებისმიერი დისციპლინური სახდელი, მათ შორის, სამსახურიდან განთავისუფლება დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის მოქმედების გარეშე, თუ იგი ჩაიდენს მძიმე დისციპლინურ გადაცდომას;.“

**7. 21-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის $2^1$ პუნქტი:**

„$2^1$. საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში მივლენილი დაზვერვის ოფიციალური წარმომადგენლის სამუშაო მივლინების ანაზღაურებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.“.

**8. 28-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.**

**9. 29-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 29. საფინანსო კონტროლი**

სამსახურის მიერ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების გამოყენებისა და ხარჯვის შემოწმებას ახორციელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახური.“

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პრეზიდენტი** **სალომე ზურაბიშვილი**